

ინფორმაცია ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის მიერ შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით და თანამდებობის დაკავების პირობები

მუხლი 1. ინფორმაცია შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით

1. ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს:
 - ა) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ჯგუფის) მიერ მიმდინარე ან დაგეგმილ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში უშუალო მონაწილეობას და წარმართვას, კვლევის თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით;
 - ბ) მონაწილეობას სტრუქტურულ ერთეულში (ჯგუფში) განსახორციელებელი კვლევითი პროექტებისა და ამასთან დაკავშირებული საქმიანობის დაგეგმვის პროცესში;
 - გ) მონაწილეობას წევრის სტატუსით ობსერვატორიის მართვის ორგანოს - ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს საქმიანობაში. აღნიშნული მოიცავს: სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე დასწრებას; ხმის უფლებით მონაწილეობას სამეცნიერო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; მონაწილეობას დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის, მისი არჩევნების დაგეგმვასა და თავად არჩევნების პროცესში, აგრეთვე სხვა საქმიანობას, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებით;
 - დ) სამეცნიერო ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნებისას აფილაციად მითითებას „საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია“/“E. Kharadze Georgian National Astrophysical Observatory“.
2. ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე საქმიანობა მოიცავს სრულ საშტატო განაკვეთს.
3. კონკურსის წესით შერჩეულ კანდიდატს, პირადი განცხადების საფუძველზე, შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე უვადოდ, 5 წელიწადში ერთხელ ატესტაციის პირობით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ნიშნავს ობსერვატორიის უფლებამოსილი პირი.
4. ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის შრომის ანაზღაურება დადგენილია სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის 2020 წლის 30 იანვრის N03-06/02 ბრძანებით და შეადგენს 1000 ლარს,

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის ჩათვლით და გაიცემა ყოველთვიურად.

5. ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამუშაო ადგილი არის დამსაქმებლის თბილისი ან/და დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი.
6. ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის შრომითი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, კვლევითი საქმიანობისთვის ხელშეუშლელად.
7. შრომითი ურთიერთობისას დასაქმებული ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით და ობსერვატორიის შინაგანაწესით.

მუხლი 2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავების ძირითადი პირობები

1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ ძირითად პირობებს, კერძოდ, აქვს:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

გ) განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები, კერძოდ: ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს მინიმუმ 10 სტატია ასტრონომიისა და ასტროფიზიკის დარგში რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში, მათ შორის მინიმუმ 5 სტატია ჟურნალებში, რომელთა იმპაქტ-ფაქტორი მეტია ან ტოლია ერთის.

მუხლი 3. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები

1. პირმა მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად, ასევე, უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები, კერძოდ, იცნობდეს:

ა) იცნობდეს სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას;

ბ) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის შინაგანაწესს;

გ) საქართველოს კანონს „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ (I-II, IV, VI და VII თავები).

მუხლი 4. კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პირობები

1. კომისია კონკურსანტებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს:

ა) კონკურსანტის H-ინდექსს;

ბ) კონკურსანტის მონაწილეობას ეროვნულ ან/და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში;

გ) მონოგრაფია/ებს;

დ) ასტრონომიის და ასტროფიზიკის პროფილის უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მუშაობის გამოცდილებას ან/და მონაწილეობას კოლაბორაციულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.

2. უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს:

- ა) რომლის სტატიები მეტადაა შესაბამისობაში იმ სტრუქტურული ერთეულის (ჯგუფის) საკვლევ თემატიკასთან, რომლის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავების სურვილი აქვს მას გამოთქმული;
- ბ) რომელიც კორპორატიულ (20-ზე მეტ თანაავტორთა) სტატიაში პირველი ან მთავარი (corresponding) ავტორია;
- გ) რომელიც არაკორპორატიულ (20-ზე ნაკლებ თანაავტორთა) სტატიებში არის რიგით პირველი ავტორი ან თანაავტორი.